



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302129863

თარიღი: 25/10/2021

პინი: 3490

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადებული დაზუსტებული განმარტებითი ბარათი .

გთხოვთ განიხილოთ.

იხ.დანართი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
 საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური



წერილის ნომერი: 05-302129861
 თარიღი: 25/10/2021

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური-ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი

ადრესატი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
 ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის
 უფროს ქალბატონ მაგული კუნჭულიას
 საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის

დაზუსტებული განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 10 მარტის N330 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 10 ოქტომბრის N1863 განკარგულებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტს „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლის მიზნით“ გამოეყო 960000 ლარი, რომელიც მიიმართება; სოფელ ქვიანში სახიდე გადასასვლელის მოწყობა 225362 ლარი, სოფელ მოედანში თ.გუჯაბიძის ეზოსთან სახიდე გადასასვლელის მოწყობა 288810 ლარი, სოფელ ბაღლეფში ფანდისეულის უბანში ასასვლელ გზაზე ხიდის მოწყობა 380954 ლარი და სოფელ გრიგოლეთში სასტუმრო ლაშთანთან ნამატი წყლის კოლექტორის მოწყობა 64874 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წინადადების საფუძველზე მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში მოსული უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული და დამეწყრილი გზების, მდინარეების გასწორხაზოვნების სამუშაოების დაფინანსების მიზნით გამოიყოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 60000 ლარი. განხილული იქნა ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წერილი და მიზანშეწოლილად ჩაითვალა გაეზარდოს დაფინანსება (ორგ.კოდი 03 01) 150000 ლარით; მათ შორის საწვავის ფასთა სხვაობის დეფიციტის შევსების გამო 34000 ლარი, საბურავების შეძენისათვის 10000 ლარი და საქონელი და მომსახურების ხარჯი 106000 ლარი.

აღნიშნული ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნეს ჯარიმების, სანქციების და საურავების გეგმის 210000 ლარით ზრდის ხარჯზე.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის მომართვის საფუძველზე დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში მიზანშეწონილია საქონელი და მომსახურების მუხლის 20000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი (საჭიდაო ლეიბების შეძენა) 20000 ლარით, ასევე შრომის ანაზღაურების მუხლი 3000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 3000 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და შპს „გურია ტრანს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გაიზარდოს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯი 25574,74 ლარით.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებები ბიუჯეტში აისახოს როგორც, შემოსავლის ასევე ხარჯვის ნაწილში.

პატივისცემით,

როლანდ ლაშხია

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი